თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 17

ქ. თერჯოლა 26.12.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. ნინო მახათაძე, 3. რამინი რობაქიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282236016, 26.12.2022 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 97.0 ათასი ლარით და შეადგენს 30034.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 15.2 ათასი ლარით (გრანტი შემცირდა 15.2 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 112.2 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 112.2 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 17.2 ათასი ლარით. მათ შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 2.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 15.2 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 114.2 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია გაიზარდა 112.2 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში მაჩიტიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 28.3 ათასი ლარით და თერჯოლა ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 83.9 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 2.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: მანუჩარ ფანჩულიძემ, გრიგოლ გიორგაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი